

მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:

WWW.opentext.ge/menora

სამ რამეს დააკვირდი და ცოდვას არ ჩაიდენ: როგორ გაჩნდი, სად მიდიხარ და ვის ჩააბარებ ანგარიშს. საიდან მოხვედი? — მყრალი წვეთისგან. საით მიდიხარ? — მტერის, მატლის და ჭიათა საუფლოში. ვის ჩააბარებ ანგარიშს? — დიდზე დიდ ხელმწიფეს ნმიდათა-ნმიდა მეუფეს. კურთხეულია იგი.

“ფირკე ავით” 3,1

ებრაული გაზეთი საქართველოში	“מנורה”	“МЕНОРА”
MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA	עיתון יהודי	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
	בגורג	В ГРУЗИИ

ივლისი
(თამაზი)
1-15
№13 (300)
(5769 ნაწილი)
2009 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה

დღეს ნომერშია:



მე-2 მკ.

ცნობილი დისიდენტი, ანდრეი
სახაროვის მეუღლე ელენე გონარი
ეპრალოზასა და მათ მიმართ
გაბატონებულ უსამართლობაზე



მე-3 მკ.

გამოჩენილი ქართველი ეპრაელი მწერლის —
გიორგი ხუცაშვილის არქივი საქართველოს
ეპრაელთა დ. ბააზოვის სახ.
ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში



ქართული პოეზიის
ანთოლოგიის რუსულ
ენაზე ცნობილ
მთარგმნელს ნათან
ბააზოვს ვულოცავთ
75 წლისთავს

მე-4 მკ.

“მეუღლე, მეუღლე!”
ანუ მარჯანიშვილის
თეატრი
იერუსალიმის
ფესტივალზე



მე-5-6 მკ.



კვირის
საკითხავი
თავის არიელ
ლავინისაული
კომენტარი

მე-7 მკ.



მილოცვა
ჯამათის
ღირსეულ
წევრს

მე-8 მკ.



მე-8 მკ.

გურამ საღარაძე ხასამ რეჟაელის როლი

სიტყვა წარმოთქმული ოსლოს თაჰის უფლებების ფორუმზე

ქალბატონებო და ბატონებო! ძვირფასო მეგობრებო! ამ კონფერენციაზე დასასწრებად გამოგზავნილ მოსაწვევეში მისმა პრეზიდენტმა ტორ ჰალვორსენმა მოხოვა, სიტყვით გამოსვლისას მომეთხოვრო ჩემი ცხოვრებისა და იმ განცდების შესახებ, რომლებიც მე გადამხდა და რომელთა გადატანაც შეეძლო, მაგრამ ჩემი აზრით, ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანია და ამ საკითხს ძალიან მოკლედ შევეხები.

14 წლის ასაკში მე მობლების გარეშე დავრჩი. მამა დახვრიტეს, დედა - 18 წლით გადასახლებაში გაგზავნეს. ჩვენ კი ბებო გვივლიდა. პოეტი ვლადიმირ კორნილოვი, რომელმაც ცხოვრების ამგვარადვე რთული გზა განვლო, წერდა, რომ: „გვეჩვენებოდა, იმ პერიოდში დედები საერთოდ არ არსებობდნენ და მხოლოდ ბებიები გვყავდა“. მაშინ ასეთი ბავშვები ასობით და ათასობით იყვნენ. ილია ერენბურგმა მათ „37 წლის უცნაური ობლები“ უწოდა.

შემდეგ იყო ომი, რომელმაც ჩემი თაობა ლამის ძირფესვიანად ამოძირკვა. თუმცა, მე გამიმართლა და ომიდან ცოცხალი გადავრჩი დავბრუნდი, მაგრამ ცარიელ სახლში - ბებიანები ლენინგრადის ბლოკადის დროს გარდაიცვალა. შემდეგ იყო კომუნალური ბინა, სამედიცინო ინსტიტუტში ნახევრად შიმშილი გატარებული 6 წელი, სიყვარული, ორი ბავშვი და საბჭოთა ექიმის სიღარიბე. მაგრამ მართო მე არ ვიყავი ასეთ დღეში, ყველას ასე უჭიდა. შემდეგ დისიდენტობა და კვლავ გადასახლება, მაგრამ მაშინ ჩვენ უკვე ორნი ვიყავით და ეს ბედნიერება იყო.


ახლა, როცა განვლილ ცხოვრებას თვალს გადავავლებ (86 წლის ასაკში ეს ყოველდღე უნდა გააკეთო), შემოდინა იგი სამი სიტყვით დავახასიათო: ჩემი ცხოვრება იყო ტიპური, ტრადიციული და შესანიშნავი. ვისაც დეტალური ანტიტერესი, შეუძლია ჩემს ორ წიგნს გაეცნოს, რომლებიც მრავალ ენაზეა ნათარგმნი. არანაკლებ საინტერესოა სახაროვის „მოგონებები“, სამწუხაროდ, 2006 წელს რუსეთში გამოცემული მისი „დღიურებიც“ არ არის ნათარგმნი. ალბათ, დასავლეთს სახაროვის მიმართ ინტერესი არ ამოძრავებს.

თავად რუსეთიც, სადაც უკვე აღარ არსებობს არჩევნები, დამოუკიდებელი სასამართლო და ბექდევითი სიტყვის თავისუფლება, ნაკლებად საინტერესო გახდა დასავლეთისათვის. იგი ის ქვეყანა გახდა, სადაც რეჟულარულად, თითქმის ყოველდღიურად კლავენ ჟურნალისტებს, ადამიანის უფლებათა დამცველებსა და მიგრანტებს. და ასეთ ვითარებაში რა არის დასავლური მასმედიის მთავარი განსახილველი თემა? გაზი და ნავთობი, რომელიც რუსეთს მრავლად მოეპოვება და მისი ერთადერთი პოლიტიკური კოზირია და წარმატებით იყენებს ზენოლისა და შანტაჟის ინსტრუმენტად. კიდევ ერთი თემა გვევლინება გაზეთების ცხოველი ინტერესის საგნად: ვინ მართავს რუსეთს? პუტინი თუ მედვედევი? არადა, რა მნიშვნელობა აქვს ვინ მართავს, თუ მან სრულიად დაკარგა დემოკრატიული განვითარების ის იმპულსი, რომელიც, როგორც ჩვენ იმხანად გვეჩვენებოდა, მას 90-იანი წლების დასაწყისში გააჩნდა. რუსეთი ათწლეულების განმავლობაში დარჩება ასეთად, თუ რაიმე მნიშვნელოვან კატაკლიზმებს არ ექნა ადგილი.

ბერლინის კედლის დანგრევიდან წლები შემდეგ მსოფლიო რადიკალურად და ისტორიისათვის არნახული სისწრაფით შეიცვალა. მაგრამ გახდა კი ის უკეთესი და მეტად უსაფრთხო ჩვენს პატარა პლანეტაზე დასახლებული 6 მილიარდ 800 მილიონი ადამიანისთვის? ეს ისეთი კითხვაა, რომელზეც მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევებისა და იმ პროცესის მიუხედავად, რომელსაც ჩვეულებრივი ტერმინოლოგიით პროგრესს უწოდებენ, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არავის მოეპოვება. მეჩვენება, რომ მსოფლიო უფრო საშიში, ამოუცნობი და მყიდვე გახდა. ეს საშიშროება — ამოუცნობობა და სიმყიდვე — იგრძობნაბა ყველა ქვეყანაში, ყოველი კერძო ადამიანის მიერ დამოუკიდებლად. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებაც კომპიუტერის დისპლეიზე განთავსებული სურათით უფრო და უფრო ვირტუალური ხდება.

ამასობაში ცხოვრების გარეგნული ფონი, რომლის ფორმირებაც ტელევიზორით, გაზეთებით, ან რადიოთი ხდება, ისევე ძველებურია: სილამაზით დაწყებული და ბუტერბროდების ჭამით დამთავრებული საკითხებზე გამართულ კონფერენციებს, სამიტებს, ფორუმებს და სხვადასხვა კონკურსებს, ბოლო არ უჩანს. ცხოვრების ასეთი წესი

ამას წინათ ნორვეგიაში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა სამართალდამცავმა, დისიდენტმა ელენე ბონერმა. აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ქვრივის — ე. ბონერის სიტყვაში დასმულია ისეთი საკითხები, რომელიც უკავშირდება ისრაელის სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ „მენორას“ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ გამოსვლის ტექსტის გაცნობა



ადამიანთა დაახლოვებად აღიქმება, მაგრამ სინამდვილეში ეს საზოგადოების გათიშვა და გაათითოკაცებაა.

მე ამ ცვლილებების მიზეზად მოულოდნელად თავს დამტყდარ ეკონომიკურ დეპრესიას არ მივიჩნევ, რომელსაც თან ღორის გრიპიც დაერთო, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ 11 სექტემბერს დაიწყო. პირველ ხანებში საზოგადოების ზიზღსა და თავზარდამცემ შიშს ინვესტორები ტერორისტები, რომელთაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი გაანადგურეს, მათი კოლეგები, რომლებიც ლონდონში, მაძრიდსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში ტერორისტულ აქტებს აწყობდნენ, შაჰიდები, რომლებიც აშკარად მშვიდობიან ადგილებში როგორებიცაა დისკოთეკები და ქორნილები საკუთარ თავს იფეთქებდნენ, ხოლო მათ ოჯახებს სადამ ჰუსეინი 25 ათას დოლარს უხდიდა. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ყველაფერში ბუმი და ებრაელები, უფრო სწორად კი, ისრაელი ყოფილა დამნაშავე. მაგალითისათვის გამოვღებო როგორც რამდენიმე წლის უკან გამართული დურბან 1, სადაც რომანო პროდიმ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ევროპაში ანტისემიტის ზრდას, ასევე დურბან 2-იც, რომლის მთავარი გამომწვეველი ახმაღიწევი სულაც ისრაელის განადგურებისკენ მოგვიწოდებდა.

სწორედ ისრაელისა და ებრაელების შესახებ მინდა მოგახსენოთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ებრაელი ვარ, არამედ იმიტომაც რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული დღემდე, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი დიდი სახელმწიფოების, არაბული ქვეყნებისა და იმ ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკური თამაშებისა და სპეკულაციების პლაცდარმად გვევლინება, რომელთაც ამ ეგრეთ ნოდებულ „სამშვიდობო“ პროცესში საკუთარი პოლიტიკური სახელის დამკვიდრება და ვინძლო, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მიღებაც სურთ. ოდესღაც ნობელის პრემია ჩვენი ცივილიზაციის ყველაზე ზნეობრივი წილი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1994 წლის დეკემბერში მისი სამი ლაურეატიდან ერთ-ერთი იასირ არაფატი გახდა, მისი ზნეობრივი ღირებულება საგრძნობლად შეირყა. ნობელის კომიტეტის ყველა არჩევანი ყოველთვის დიდი სიხარულით არ ეხვედებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად შემძრა. დღემდე არ შემოიღია გავიგო და მივიღო ის ფაქტი, რომ ანდრეი სახაროვიც და იასირ არაფატიც ნობელის პრემიის ლაურეატთა კლუბის სამუდამო წევრები არიან.

მრავალ პუბლიკაციაში („ფიქრები“, წიგნი „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“) სახაროვი წერდა და საუბრობდა ისრაელის შესახებ. მე მომეპოვება პატარა სტატიის უფრო სწორად კი ციტატათა ნაკრები ამ თემასთან დაკავშირებით. თუ ნორვეგიაში მას გამოსცემენ, ბევრი ნორვეგიელი განცვიფრებული დარჩება, თუ როგორ განსხვავებულია სახაროვის ხედვა ისრაელზე მათი დღევანდელი შეხედულებებისაგან. აი, რამ-

დენიმე ამ ციტატათაგანი: „ისრაელს აქვს არსებობის უპირობო უფლება“, „მას აქვს არსებობის უფლება უსაფრთხო საზღვრებში“, „ისრაელის მიერ წარმოებული ყველა ომი, რომელიც არაბი ლიდერების უპასუხისმგებლობით იყო გამოწვეული, სამართლიანია“, „იმ თანხით რომელიც პალესტინელთა პრობლემების მოგვარებაში იხარჯება, დიდი ხანია, შესაძლებელი გახდებოდა მათი განსახლება და კეთილმოწყობა სხვა არაბულ ქვეყნებში“.

დღიდან ამ ქვეყნის დაარსებისა, განუწყვეტელი ომი მიმდინარეობს. რამდენიმე გამარჯვებით დასრულდა, რამდენიმეში ისრაელს არ მისცეს გამარჯვების საშუალება. ახლაც ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით ქვეყანა ყოველდღე ტერაქტებისა და ახალი ომის მოლოდინშია. დიდი ხანია უკან მოვიტოვებ „ოსლოს სამშვიდობო ინიციატივებიც“, „ქემ-დეიდის შეთანხმებაც“, „საგზაო რუკაც“ და „მშვიდობა მინების სანაცვლოდ“ (არადა, რა მინაზეა სინამდვილეში საუბარი: კარგ ამინდში შეუიარაღებელი თვალთ შესაძლებელია, ერთი მხრიდან მეორეს სრულად მოაგლო თვალთ).

ახლა მოდაში ახალი (სხვათა შორის ძველი) მოტივია: „ორი სახელმწიფო ორი ერისთვის“. ერთი შეხედვით, კარგად ჟღერს. მშვიდობისმყოფელთა ოთხეულს შორისაც, რომელსაც აშშ, გაერო, ევროკავშირი და რუსეთი („დიდი მშვიდობისმყოფელი“ ჩეჩნეთის ომისა და აფხაზურ-ოსური პროვოკაციების გათვალისწინებით) შეადგენენ, არ არის წინააღმდეგობები ამ საკითხთან დაკავშირებით. ამას გარდა, ოთხეულს, არაბულ ქვეყნებსა და პალესტინელ ლიდერებს („ჰამასი“, „ფათხი“) რამდენიმე სხვა მოთხოვნაც აქვთ ისრაელთან. მე ამჯერად მხოლოდ პალესტინელი ლტოლვილების ისრაელში დაბრუნების მოთხოვნაზე გავამახვილებ ყურადღებას. აქ მცირედენი დემოგრაფიული მონაცემებისა და ისტორიის მოშველიებაც დაგვჭირდება.

გაეროს ოფიციალური სტატუსის მიხედვით, ლტოლვილად ითვლება ადამიანი, რომელიც იძულებული გახდა გაქცეოდა ომსა და ძალადობას და არა მისი თამამავალი, რომელიც სხვა მინაზე დაიბადა. ოდესღაც არაბული ქვეყნებიდან იძულებით გადაადგილებულ პალესტინელ და ებრაელ ლტოლვილთა რაოდენობა დაახლოებით თანაბარი - 700-800 ათასი იყო. 600 ათასამდე ებრაელი ლტოლვილი იმ დროისათვის ახლადშექმნილმა ისრაელმა მიიღო. გაერომ ოფიციალურად აღიარა ისინი ლტოლვილებად, მაგრამ არასოდეს გაუწვდია დახმარება მათთვის. პალესტინელთა პირველი, მეორე, მესამე და ახლა უკვე მეოთხე თაობაც კი დღემდე ოფიციალურად ლტოლვილად ითვლება. გაეროს ახლო აღმოსავლეთის პალესტინელი ლტოლვილთა დახმარების სააგენტოს მონაცემებით დარეგისტრირებული პალესტინელი ლტოლვილების რიცხვმა 1950 წლის შემდეგ 914 000-დან 4 600 000-მდე მოიმატა და კვლავ განაგრძობს ზრდას. დღესაც ყველა მათგანი სარგებლობს ლტოლვილის ზოგადი უფლებებით, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების მიღების უფლებით.

ისრაელის მოსახლეობა დაახლოებით 7,5 მილიონს შეადგენს, აქედან 2,5 მილიონი ეთნიკური არაბია, რომლებიც საკუთარ თავს პალესტინელებს უწოდებენ. წარმოადგენენ ისრაელს, სადაც დამატებით 5 მილიონი არაბი გაჩნდება და საბოლოო ჯამში მათი რიცხვი ეთნიკურ ებრაელთა რიცხვს გადააჭარბებს. მეზობლად კი შეიქმნება პალესტინური სახელმწიფო, რომელიც სრულიად სუფთა იქნება ებრაელებისგან, რადგან პალესტინელი ლტოლვილების ისრაელში დაბრუნების გარდა, ისრაელის მიმართ წაყენებულია კიდევ ერთი მოთხოვნა: ებრაელთაგან სრულიად დაცალოს და პალესტინას გადასცეს იუდეა და სამარია, ღაზას სექ-

ტორში კი უკვე ისედაც არც ერთი ებრაელი აღარ ცხოვრობს.

ამგვარი შედეგები ძალიან უცნაური და საშიშია. საშიშია არა იმიტომ, რომ ისრაელს ფაქტიურად განადგურება ემუქრება - ახლა სხვა დროა და სხვა ებრაელები, ის საშიშია იმ მხრივ, თუ რამდენად მოკლე მესხიერება აქვს უმაღლეს მშვიდობისმყოფელ ოთხეულს, იმ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ ოთხეულს წარმოადგენენ და მათ მოსახლეობას თუ ისინი მსგავს რამეს დაუშვებენ. მათი გეგმა „ორი სახელმწიფო ორი ერისთვის“ - ეს ხომ ორი ისეთი სახელმწიფოს შექმნაა, რომელთაგან ერთი ებრაელთაგან ეთნიკურად სრულიად სუფთა იქნება, ხოლო მეორეში იგივე შედეგის დადგომის პოტენციური შესაძლებლობა იარსებებს. იუდეურები - წმინდა მიწა. ბოლოს და ბოლოს, განხორციელდება ადოლფ ჰიტლერის ოცნება. დაფიქრდით, ვისაც ფიქრის უნარი ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ: სად და ვის გულში ბუდობს დღეს ფაშიზმი?

არის კიდევ ერთი კითხვა, რომელიც დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს და ამ კითხვით ჩემს კოლეგებს, უფლებათა დამცველებს მივმართავ. გუანტანამოს პატიმრებისგან განსხვავებით რატომ არ ვაღელვებთ ისრაელელი ჯარისკაცის გილად შალითის ბედ-ილბალი? თქვენ მიაღწიეთ იმას, რომ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს, პრესასა და იურისტებს გუანტანამოში შეეღწიათ, თქვენ კარგად უწყით მათი ყოფა-ცხოვრებისა და კვების პირობების შესახებ, თქვენ გინახავთ ნაპტიმების მსხვერპლი პატიმრები. თქვენმა ძალისხმევამ ამ ნამებათა შეწყვეტა და გუანტანამოს ციხის დახურვის შესახებ კანონის მიღება მოიტანა შედეგად. პრეზიდენტმა ობამამ ამ კანონს თერო სახლში გადასვლიდან პირველივე დღეებში მოაწერა ხელი. მართალია, როგორც მისმა წინამორბედმა ბუშმა, მანაც არ იცის, რა უყოს პატიმრებს შემდგომში, მაგრამ იმედია, ახალი ადმინისტრაცია რამეს მოიფიქრებს.

ტერორისტების მიერ შალითის დატყვევებიდან 2 წლის განმავლობაში უფლებათა დამცველ საზოგადოებას არაფერი მოუშემა მისი გათავისუფლებისათვის. რატომ? ის დაჭრილი ჯარისკაცია და მასზე ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება სამხედრო პირთა უფლებების დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის იურისდიქცია. კონვენციაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ მოხდეს აყვანა აკრძალულია; ტყვეებთან, მით უფრო — დაჭრილებთან დაშვებულნი უნდა იყვნენ წითელი ჯვრის წარმომადგენლები, სხვა მრავალი რამეც წერია უფლებათა შესახებ ამ დოკუმენტში. ის ფაქტი, რომ ოთხეულის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ პირებთან, ვისაც დატყვევებული ყავს შალითი და გაურკვეველ ადგილსა და პირობებში ამყოფებს, ახდენს მათი მხრიდან საერთაშორისო უფლებრივი დოკუმენტების უგულვებელყოფისა და სრული უფლებრივი ნიჰილიზმის თვალსაჩინო დემონსტრირებას. მაგრამ საკითხავია, ნუთუ, უფლებათა დამცველებსაც არ ახსოვთ ასეთი დოკუმენტების არსებობა?

ჩემი აზრით (ზოგიერთს ეს შეიძლება გულუბრყვილადც კი მიჩვენოს), მშვიდობისკენ გადადგმული პირველი პატიარა, მაგრამ რეალური ნაბიჯი შალითის გათავისუფლება იქნებოდა. სწორედაც რომ გათავისუფლება და არა გაცვლა იმ თასს თუ ათას ხუთას პატიმარზე, რომლებიც ნამდვილად ჩადენილი დანაშაულებებისათვის გამოტანილი სასამართლო განაჩენის საფუძველზე სხედან ისრაელის ციხეებში.

მე ისევე დავუბრუნდები ჩემს შეკითხვას - რატომ სდუმან უფლებადამცველები? და ვერ ვპოულობ სხვა ახსნას გარდა იმისა, რომ შალითი უბრალოდ ისრაელელი ჯარისკაცია. ესე იგი კვლავ ეს გაზრებული თუ გაუზრებული ანტისემიტისმი, ისევე ფაშიზმი.

34 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე ამ ქალაქში ჩემს ქმარს, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს ანდრეი სახაროვს წარვადგენდი. მაშინ მე შეყვარებული ვიყავი ამ ქვეყანაზე, მიღება რომელიც აქ გამიმართლეს, სამუდამოდ შემიძახებოდა.

დღეს კი მე შიშსა და იმედს (ასე უწოდა სახაროვმა 1977 წელს ნობელის პრემიისათვის დაწერილ თავის ესეს) განვიცდი. შიშს ვეროპასა და შესაძლებელია, მის ფარგლებს გარეთაც ზრდადი ანტისემიტისმი და ანტისრაელიზმის გამო, ხოლო იმედს იმის გამო, რომ ქვეყნები, მათი ხელმძღვანელები და მათი ხალხი გაიხსენებენ და გაითვალისწინებენ სახაროვის ეთიკურ ცნებას: „საბოლოო ჯამში ზნეობრივი არჩევანი ყველაზე პრაგმატული აღმოჩნდება“.

დავით მაჭთუის სასოლომოს საცხატოელის ემბოლოთა ისტორიის მუზეუმის თინდუმის მონაბონი

დავით მაჭთუის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში, რომელმაც ფუნქციონირება 1992 წელს განაახლა, 1933 წელს დაარსებული და 1951 წელს გაუქმებული, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მემკვიდრეა.

1952 წელს მუზეუმში დაცული ექსპონატები თბილისის სხვადასხვა მუზეუმსა და ცენტრალურ საისტორიო არქივში გადანიშნა. განახლებული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებმა ებრაული საზოგადოებრიობის თანადგომით, ხელახლა დაიწყეს ფონდებისათვის მასალის მოძიება.

ამჟამად მუზეუმის ფონდებში საქართველოში მცხოვრები მრავალი ებრაელი მოღვაწის მასალა დაცულია, მათ შორის აღვნიშნავთ: აღმოსავლეთმცოდნე ნისან ბაბალიკაშვილის, სწავლული მედიკოსის ნაუმ როზენფელდის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის სამუელ პოლიანოვის, ისტორიკოს შერველ ჩაჩაშვილის, პოლკოვნიკ იაკობ კეზერაშვილის, ჟურნალისტ დავით მელუხას ფონდებს, რომელშიც შედის მათი პირადი საბუთები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვა საინტერესო მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს ებრაელთა მოღვაწეობას მეცნიერებაში, კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ფონდებში დაცულია სხვადასხვა წლების პრესა, დანყებული XIX საუკუნის მიწურულიდან თანამედროვეობამდე, რომელშიც ასახულია ქართველ ებრაელთა ყოფაცხოვრება და ქართულ-ებრაული ურთიერთობები.

2007 წელს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ან გარდაცვლილი გიორგი ხუბაშვილის მეუღლემ ქალბატონმა ლამარა ხუბაშვილმა მუზეუმს გადასცა მეუღლის არქივის დიდი ნაწილი (არქივის მეორე ნაწილი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში).

საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოვჩინოთ გიორგი ხუბაშვილი, როგორც პოეტი, დრამატურგი, კინოსცენარისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და პიროვნება.

„ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ I საუკუნეში „მამინ გუესმა ესრეთ, ვითარმედ იერუსალემი სპარსთა დაიპყრესო“. რომლისათვის – იგი იქმნა გლოვა და წუხილი ჰურიათა ზედა ქართველთა: მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდელთა მდელთა, კოდისწყაროელთა მნიგნობართა და ხობის კანანელთა თარგმანთა – ესე ყოველნი აღიძრნეს სივლტოლად“. გ. ხუბაშვილის

ცხოვრება და მოღვაწეობა თითქოს „ქართლის ცხოვრებიდან“ ამ პატარა ამონარიდის გამოძახილია XX საუკუნეში. წარმოშობით ებრაელი სისხლხორციელად იყო დაკავშირებული, როგორც საქართველოსთან, ასევე თავის ისტორიულ სამშობლოსთან – ისრაელთან.

მუზეუმის ფონდებში დაცულია გ. ხუბაშვილის პიესები, ლიტერატურული სცენარები და მათი ვარიანტები, რომელთა გაანალიზება მწერლის შემოქმედების მკვლევარს საშუალებას მისცემს თვალი გაადევნოს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნისა და დახვეწის პროცესს. მისი სცენარები და პიესები ქართულ რეალობას ასახავენ და განმსჭვალულნი არიან ადამიანებისადმი თანაგრძნობითა და სითოთი. (23 სამუზეუმო ერთეული). მწერლის პირველივე პიესა, „ზღვის შვილები“ რუსთაველის თეატრში დაიდგა და დიდი წარმატება ხვდა წილად. გ. ხუბაშვილის პიესები იდგმებოდა, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, ისე საზღვარგარეთაც. პიესებს „ცხოვრება კაცისა“ და „ამბავი წუთისოფლისა, ომისა და ჯარისკაც ჭიპილიასი“ საკავშირო ლიტერატურული პრემია მიენიჭა.

ცნობილია, რომ გ. ხუბაშვილმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი. მწერლის არქივი ფართოდ არის წარმოდგენილი ამ სახის მასალით: გამოქვეყნებული, ნაბეჭდი და ხელნაწერ სტატიებით, რომელთა უმრავლესობა ქართულ თეატრს და მის მოღვაწეებს ეძღვნება და დახვეწილი გემოვნებითა და სრულყოფილად ასახავდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებას. ცნობილი ქართველი რეჟისორი დ. ალექსიძე მას „ჩვენი დროის მემკვიდრე“ უწოდებდა (618 ე.ი.მ.).

გ. ხუბაშვილი სხვა ქვეყნების თეატრების დადგმებსაც იკვლევდა. მან ვრცელი მონოგრაფია – „ბრეხტიდან დოსტოევსკამდე“ – უძღვნა ტაგანკის თეატრის თბილისში გასტროლს (562 ე.ი.მ.). მანვე გააშუქა მოსკოვის ებრაული თეატრის „გამიბას“ მიერ სპექტაკლი „დიბუკის“ დადგმა (583 ე.ი.მ.).

გ. ხუბაშვილის პირველი ლექსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა აღმანახში „პირველ სხივში“ დაიბეჭდა; შემდეგ მწერალი დიდი წარმატებით დრამატურგიაზე გადაერთო და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული თეატრის ისტორიაში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ისევ პოეზიას დაუბრუნდა.

გ. ხუბაშვილი წერდა: „ოთხმოციან წლებში კვლავ დავუბრუნდი პოეზიას, გამოვეცი ხუთასგვერდიანი ნიგნი „ბიბლიური



© Michael-Arts.com

მოტივები“ – ლექსების ეს ციკლი მან ისრაელში მოგზაურობის შემდეგ შექმნა. მწერალი თვლიდა, რომ იგი „ათასწლეულების იქით უძველეს ეროვნულ წიაღებს“ დაუბრუნდა (523 ე.ი.მ.).

მუზეუმის ფონდებში დაცულია გ. ხუბაშვილის ლექსთა სხვადასხვა ციკლები: გამოქვეყნებული ნაბეჭდი (ავტორისეული ჩასწორებებით) და ხელნაწერი. ეს უკანასკნელი მეტ ღირებულებას სძენს ამ მასალას, მნიშვნელოვანი იქნება სამუზეუმო ექსპოზიციისათვის და აუცილებლად პოეზებს მასში ასახვას.

გ. ხუბაშვილი აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მწერალთა სემინარებში; აღსანიშნავია მისი საჯარო გამოსვლები კონფერენციებზე, როგორც საქართველოში (568 ე.ი.მ.) ისე საზღვარგარეთაც (563, 565, 567 ე.ი.მ.). მას ახლო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა უცხოეთის ქვეყნების კულტურის მოღვაწეებთან.

ცალკე უნდა გამოიყოს გ. ხუბაშვილის მოღვაწეობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, სადაც მისი კინოსცენარების მიხედვით შეიქმნა ფილმები „ზღვის შვილები“, „მოლოდინი“. ცნობილ კინორეჟისორ თამაზ მელიავასთან ერთად მან დაწერა სცენარი „მთვარის მოტაცება“ კ. გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის

მიხედვით. ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად.

გ. ხუბაშვილს, როგორც წარმატებულ მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს სიცოცხლეშივე მიაგებდნენ პატივს. იგი დაჯილდოვებული იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიით, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიითა და სხვა ჯილდოებით. 1993 წელს ისრაელში, მწერლის ისტორიულ სამშობლოში, ქ. ხოლონის კულტურის სახლში გაიმართა გ. ხუბაშვილისადმი მიძღვნილი საღამო (610 ე.ი.მ.).

P.S. საქართველოშიცხოვრებულ ებრაელთა ღვაწლის წარმოსაჩვენად დ. მაჭთუის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში გთხოვთ გადმოგცეთ თქვენი წინაპრების მოღვაწეობის ამსახველი ნებისმიერი მასალა, რომელიც წარმოაჩენს ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს, რათა იგი დაცული და შემონახული იყოს შთამომავლობისათვის, აგრეთვე სათანადო ასახვა პოვოს მუზეუმის ექსპოზიციამში.


დ. მაჭთუის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის ფონდების განყოფილების უფროსი – ნელი გვინცაძე,

ფონდების მთავარი მცველი – რუსუდან კოპაძე

წერილი რედაქციას:

ებრაელი ერის ყოფაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა თალმუდის ძირითადი მცნებების გაცნობიერება და მისი ნიუანსებში ჩანვდობა. ამ საკითხების კვლევას მიეძღვნა არაერთი თეოლოგის კვლევები. მათ შორისაა რაბინი ადინ ევენ ისრაელი (შტეინზალცი), რომელსაც არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი, სტატია და ნიგნი აქვს მიძღვნილი ამ საკითხებისადმი.

მისასალმებელია, რომ ქართველ ებრაელობას და იუდაიზმით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს აქვთ შესაძლებლობა ქართულ ენაზე გაეცნონ რაბი ადინ ევენ ისრაელის ერთ-ერთ ნიგნს „გულით მსახურება“, სადაც განმარტებულია სულიერი ცხოვრების ჰარმონიისათვის უმნიშვნელოვანესი, ადამიანთა მიერ შესასრულებელი რიტუალები (მონანიება, ლოცვა, მცნებების დაცვა, შაბათის წმინდაყოფა), განვრცობილია თითოეული რიტუალის შესრულების მნიშვნელობა.



ბრძოლის პალესტინური მეთოდი ვინ რა მეთოდით იშობს!

ბრძოლის ისრაელური მეთოდი



- ბატონო ნათან, კ. ჩუკოვსკის მოგონებებში აღმოვაჩინე მისი საუბარი მამაშენთან - ლეგენდარულ გერცელ ბაზოვთან, რომელიც 30 წლისა უკვე ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის დრამატულ სექციას. შენი პაპის - დავითის სახელს ატარებს ქუჩა იერუსალიმის ცენტრში...

- ყველა ჩემი წინაპარი მამაკაცების მხრიდან (ჩემი დიდი პაპიდან მენახემიდან - ცხინვალის რაბინიდან დაწყებული) ადრე მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან. მხოლოდ ჩემმა ორმა ბაბუამ იცოცხლა 60 წელზე მეტი. მე მეშინოდა ამ ზღვარის: ამ დღეებში კი დაინერა: ნასული წინაპრების ზრუნვაა ეს. ან იქნებ, ცისა. მაგრამ მე მაინც ამაყი ვარ - უკან დარჩა საუკუნის სამი მეოთხედი...

- ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნება, მოგცე ერთი ეშმაკური შეკითხვა: განვლილი წლების სიმალლიდან როგორ მიგაჩნია პოეტის აზრი - წლები მკაცრ პროზას დავემორჩილოთ.

- არ ვემორჩილები. 1998 წელს გამოვეცი პროზის პატარა წიგნი, მას დიდი წარმატებები ჰქონდა. ზოგიერთ რალაცას ვგვამავ პროზაში, მაგრამ მე მაინც პოეტად ვრჩები.

- როგორ აისახა შენს მრავალიარუსიან შემოქმედებაში (ფიზიკის ჩართვით) ის "ისტორიული დრო", რომელიც შენში შემოვიდა "უძრავი გაელვების" სახით და არ ემორჩილება "კორექციებს".

- 50 წელზე მეტია ფიზიკის ინსტიტუტში ვმუშაობ, რომელიც ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელს ატარებს. ეს არის ჩემი "ისტორიული დრო", ამ პიროვნებასთან ურთიერთობას შეუერთდა ჩემი მრავალწლიანი საქმიანობა (მისი მამა, გენიალური იურისტი - ასწავლიდა მამაჩემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). "უძრავი გაელვება". ცხოვრება უმამოდ. კორექციისადმი დაუმორჩილებლობის უძრავი გაელვება ბევრი ყოფილა. შევჩერდები უკანასკნელ 20 წელიწადზე. რუსეთის ფედერაციის პატენტი ნეიტრონული გამოკვლევების ახალ მეთოდზე. მგზავრობა დასავლეთ ბერლინში (მანამდე არ მქონდა უცხოეთში მგზავრობის უფლება - დახურულ სამეზობლოში ურთიერთობის გამო). დავიწყე მუშაობა ბიოენერგოინ-ფორმატიკის დარგში - ასე ეწოდება ჩემს განყოფილებას საინჟინრო აკადემიაში. მასში ყოფნის სურვილი გამოთქვა ილია მეორემაც (ალბათ, მას მოეწონა ჩემი მოხსენება "თანამედროვე მეცნიერთა დასკვნით ღმერთი არსებობს"). სურვილი, დავამთავრო ახალი მონოგრაფია "სპინური ველები ფიზიკურ ვაკუუმში", რომლის დაწერაც მიჩიგის კოლეჯებმა ა.იოფეს ინსტიტუტიდან - სიმპოზიუმებზე ჩემი მოხსენებების სერიების შემდეგ.

- შენთვის - ძირძველი თბილისელისთვის - ნამოჭრილა საკითხი "უცხო მხარეში" გადასვლის შესახებ, მაგრამ შენ მას საფუძველშივე თხრიდი. შენ აღიარებდი,

უკან დარჩა საუკუნის სამი მეოთხედი...

ვესაუბრებით ბატონ ნათან ბაზოვს



რომ სახლი არის არა ადგილი ცხოვრებისთვის, არამედ ეს არის სულის ძირითადი მდგომარეობის შეგრძნება, აზროვნებისა და სიცოცხლის სახე .. მინდოდა გამეგო დეკორატიული ტრაბახის გარეშე მკაფიო პასუხი, ამავე დროს შენს შემოქმედებასთან კავშირში.

- შეკითხვაში შენ მოგყავს ჩემი ციტატა. ასე რომ, პასუხი შენთვის ცნობილია.

დავუმატებდი: მოსკოველმა ბარდმა იული ზისლინმა, რომელიც ემიგრაციაში წავიდა, ათი წლის წინათ შექმნა ვაშინგტონის რუსული პოეზიისა და მუსიკის მუზეუმი (მასში არის ჩემი წიგნებიც). 2007 წელს ის ჩამოვიდა საქართველოში რუსულ-ქართულ საერთაშორისო პოეტურ ფესტივალზე, რომელიც მოანყო ნიკოლაი სვენტიციმ. სტუმრები წავიდნამოვიდნენ. ზისლინი შეყოვნდა, რათა თბილისში ებრაელთა სახლში გაემართა კონცერტი. ბოლოს კი გამოაცხადა, რომ მოამზადა სიმურაბი. პირველად მან შეასრულა სიმღერა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე, შემდეგ ჩემსავე სიტყვებზე "სიყვარულის ნიგინიდან" (ამ ნიგინა შენს შესანიშნავი წინასიტყვაობა), შემდეგ კი ჩემი ლექსის ტექსტზე, მისი დასაწყისი ასეთია: "მე თბილისში დავიბადე, თბილისში ვცხოვრობ..." ბოლო ოთხი სტრიქონი კი ასეთია: ეს ქალაქი მე მავსებს ცეცხლით, ავსებს იმედით ჩემს იაღქნებს. მე ვმოღვაწეობ და ვოცნებობ მხოლოდ ერთ რამეს: უკანასკნელ წუთებში

ვუმზერდე მის ზეცას...

- პასუხი მიღებულია. თბილისში სულ უფრო ცოტა რჩება ხალხი, რომელიც მხოლოდ ყურმოკვრით არ იცნობს მის ლიტერატურულ ცხოვრებას. მე დიდი ხანია გეხვეწები, დაწერო ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ შენ იცნობდი ბევრ ცნობილ პოეტს... მიაამბე, თუნდაც მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ.

- გაზეთში ეს არარეალურია. მაგრამ უკვე არსებობს მოგონებათა მომავალი წიგნის მონაკვეთები. მანამ კი ჩამოვთვლი ზოგიერთ გვარს. საქართველოს მწერალთა კავშირის თითქმის ყველა თავმჯდომარე (მწერალთა კავშირი ჩამოყალიბდა 1917 წლის ოქტომბერში) პოეტი იყო. აი, ვის ვთარგმნი და ვისთან ვემეგობრობდი: ა. მირცხულავა, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ნ. დუმბაძე, შ. ნიშნიანიძე. ვთარგმნი მუხრან მაჭავარიანიც (მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობდა 1988-1992 წლებში). ამას წინათ, 13 აპრილს, მას შეუსრულდა 80 წელი. ვულოცავ დიდ პოეტს იუბილეს! საინტერესო იყო მისი თარგმნა და მასთან საუბრები. ყველა ამ პოეტის ლექსები შევიტანე "XX საუკუნის ქართული პოეტების ანთოლოგიაში", რისთვისაც მივიღე საქართველოს სახელმწიფო პრემია. 2008 წლიდან მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობს მაყვალა გონაშვილი - მე დიდი ხანია ვთარგმნი მის ლირიკას. ურთიერთობა მქონდა ჟურნალ "ლიტერატურ-

ნაია გრუზიას" ყველა რედაქტორთან - კ. ლორთქიფანიძესთან, მ. მრეველიშვილთან, გ. ციციშვილთან, გ. ასათიანთან, თ. ბუაჩიძესთან, რ. მიმინოშვილთან. ყველა მათგანმა უურნალი მსოფლიოსთვის საცნობიერო გახადა. 1997 წელს რ. მიმინოშვილის უცნაური დაღუპვის შემდეგ "ლიტერატურნაია გრუზიამ" უმაღლვე დაკარგა თავისი სახე.

- მწერალთა კავშირის თქვენი რუსული სექცია. ერთხელ ი.ბოგომოლოვმა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემამდე ხელმძღვანელობდა რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, მითხრა, რომ შენ ავირჩიეს სექციის თავმჯდომარედ, იგი კი წავიდა ამ თანამდებობიდან.

- მთლად ასე როდი იყო. როდესაც პარლამენტის დეპუტატი გახდა, მან ე.ელიგულაშვილს დაავალა სექციის ხელმძღვანელობა. მაგრამ იგი მალე გადავიდა ცოლთან ტალინში და ვ.ოსინსკიმ შესთავაზა, ავერჩიე თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე ვარ უკვე 12 წელზე მეტია. როდესაც მწერალთა კავშირში ყველა სექცია გააუქმეს, მ.გონაშვილმა შემომთავაზა, გადაგვერქმია მისთვის სახელი და გვეწოდებინა რუს ლიტერატორთა გაერთიანება.

- თუ განიცდი, რომ მომწიფდი შემაჯამებელი წიგნისთვის.

- მე გამოვეცი 22 წიგნი. შემაჯამებლად ჯერჯერობით შემიძლია მივიჩნიო ლირიკის უზარმაზარი წიგნი. ამ წიგნის ლექსების მხოლოდ მეოთხედი იყო დაბეჭდილი მანამდე.

- შარშან შენ მივიღეს რუსულენოვან მწერალთა საერთაშორისო ფედერაციაში, სადაც მოგანიჭეს საპატიო წოდება "სიტყვიერების ოსტატი". რა სხვა ჯილდოები გაქვს ლიტერატურის დარგში სახელმწიფო პრემიის გარდა.

- საქართველოს კომკავშირის პრემია, გ. ლეონიძის პრემია, ლირსების ორდენი ქართული პოეზიის მაღალმხატვრული თარგმნისა და მისი პოპულარიზაციისთვის. აი ეს არის სულ: ორი პრემია გაზეთ "კნიჟნოე ობზორენიეს" სრულიად საკავშირო კონკურსისა. ეს ხომ არ არის თავის ქება.

- სრულიადაც არა. ეს მეტად პოპულარული და საერთოუბო გაზეთია. მე მას მრავალი წელია ვკითხულობ. გამაღობთ ინტერვიუსთვის. იმედი მაქვს, რომ წელს გამოჩნდება ჩემი დიდი ხნის ნაოცნებარი წიგნი - "საუბრები ნათან ბაზოვთან".

ნოდარ ფორაქიშვილი
გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" ივნისი

გაზეთ "მენორას" რედაქცია ბატონ ნათან ბაზოვს ულოცავს დაბადების 75 წლისთავს, უსურვებს ხანგრძლივ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

რა ხდება ებრაულ სამყაროში?

ბრიტანელმა კანონმდებლებმა სპიკერად პირველად ებრაელი აირჩიეს

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა თემთა პალატის სპიკერად პირველად აირჩია ებრაელი. 22 ივნისს 46 წლის ჯონ ბერკოვი, (კონსერვატიული პარტია), არჩეულ იქნა ფარული კენჭისყრით.

პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა ბერკოვისადმი მოლოცვის დროს აღნიშნა, რომ ის გახდა პარლამენტის პირველი ებრაელი სპიკერი.

სახელმწიფო დეპარტამენტი იარუსალიმთან დაკავშირებით

აღმოსავლეთ იერუსალიმში ებრაული დასახლების შეჩერება არ გახლავთ ობამას ადმინისტრაციის მოთხოვნათა ნაწილი — აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

— იერუსალიმთან მიმართებაში ჩვენი პოლიტიკა უცვლელია, — განაცხადა თავის ყოველდღიურ ბრიფინგზე, სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა აინ კლიმ. — იერუსალიმის სტატუსი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზე. ისრაელი და პალესტინელები ერთნაირად ამაყდებიან.

23 ივნისს კელიმ არ დააზუსტა იერუსალიმთან

სალიმთან ებრაული დასახლებების სტატუსი. თუმცა, საზოგადოებრივ საკითხთა ებრაული საბჭოს დირექტორმა ხადარ სუსკინდმა JTA-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მან თეთრი სახლის მალაჩინოსანისგან, რომლის ვინაობაც არ დასახელდა, მიიღო იმის დასტური, რომ ადმინისტრაცია იერუსალიმის სტატუსის გარკვევას მოლაპარაკებების საბოლოო თემად თვლის და რომ დასახლებების მშენებლობის გაყინვის მოთხოვნა არ მოიცავდა ებრაელთა სახლების მშენებლობას.

ევროკავშირი და ქაშაირი ხორცი

ევროკავშირის ახალი წესები, რომლებიც ეხება საქონლის დაკვლის უფრო ჰუმანურ ხერხებს, რელიგიური დაკვლის მეთოდებსაც კანონიერად აღიარებს.

22 ივნისს ევროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრები დათანხმდნენ დაკვლის წესებს ისე, რომ ცხოველების ტანჯვა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ახალი წესები ნებას რთავს ქაშაირი ხორცის წარმოებასა და გაყიდვას ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში.

ამ წესების თანახმად, ცხოველები, რომლებსაც ქაშაირულად ჰკლავენ, არ შეიძლება წინასწარი დარტყმით იქნას გაბრუნებული,

ეს ეწინააღმდეგება შხიტის კანონებს. ამას გარდა, ცხოველებზე, რომელიც ქაშაირულად დაიკვლება, უნდა დაიდოს განსხვავებული დამლა.

ევროპის ებრაული კონგრესი მიესალმა ევროკავშირის მიერ რელიგიური დაკვლის მეთოდის აღიარებას.

- ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მიიღეს ახალი წესები და ამას მნიშვნელოვან გამარჯვებად ვთვლით, ამ შემთხვევაში გამარჯვება ეკუთვნის ებრაულ თემს მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე, — განაცხადა ევროპის ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა დოქტორმა მოშე კანტორმა — ამავე დროს ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დაკვირვებულობა, რათა არც ერთი სახელმწიფო არ ეცადოს საქონლის დაკვლის რელიგიურ წესში ახალი მოთხოვნების შეტანას.

შარანსკი ებრაული სააგენტოს თავმჯდომარეა

ნათან შარანსკი ერთდხმად იქნა არჩეული ებრაული სააგენტოს თავმჯდომარედ.

5 ივნისს შარანსკი სოხნუთის მზრუნველთა საბჭოს მიერ არჩეულ იქნა ებრაული სააგენტოს თავმჯდომარედ.

მისი კანდიდატურის 4 წლის ვადით თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიასპუს მიერ წარდგინება არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული, რადგან ებრაული სააგენტო ცდილობს გაათავისუფლდეს პოლიტიკური ზეგავლენისგან.

შარანსკი სიონის ყოფილი ტყვეა, ბოლო დროს იგი იერუსალიმში, ცენტრ შადემის ადელსონის სტრატეგიული გამოკვლევათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო.

რუსეთში შარანსკის 1977 წელს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და მძიმე სამუშაოებზე გაგზავნეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან შეიტანა განცხადება ისრაელში წასვლის თაობაზე. საერთაშორისო ზენოლის შემდეგ, ვაშინგტონში დიდი დემონსტრაციის ჩათვლით, 1986 წელს შარანსკი გაანთავისუფლა და ისრაელში გაუშვა.

1996 წელს შარანსკიმ დააფუძნა ემიგრანტული პოლიტიკური პარტია „ისრაელ ბა-ალია“, რათა დაეჩქარებინა ისრაელის საზოგადოებაში მრავალი რუსი ემიგრანტის აბსორბციის პროცესი. 1996-2005 წლებში იგი იყო ისრაელის მთავრობების მინისტრი.

ისტორიკოსები ვაშნაირის ნაცისტურ ნარსულს იკვლევენ

გერმანელი კომპოზიტორის, — რიხარდ ვაგნერის შთამომავლებმა გამოთქვეს სურვილი, ჩაატარონ თავიანთი საოჯახო არქივების გამოძიება.

საოჯახო არქივი მოიცავს ჰიტლერის დაახლოებით 300-მდე წერილს. ბოიროტას მიერ ამ ისტორიის დამოუკიდებელი და სრული აღწერა, შესრულდება ჩვენი ყოველგვარი ჩარევის გარეშე, — განაცხადა კატერინა ვაგნერმა ინტერნეტ-გაზეთთან საუბარში.

"მეუღლე, მეუღლე!"

ანუ

კ. მარჯანიშვილის თეატრი იერუსალიმის ფესტივალზე

ქართული თეატრი კიდევ ერთხელ გავიდა მსოფლიო ასპარეზზე — კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრმა 24-27 მაისს მონაწილეობა მიიღო ისრაელის ხელოვნების პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე.

სიტყვა პრესტიჟული, რომელიც ამ ფესტივალთან დაკავშირებით მოვიშველიე, განპირობებული გახლავთ იმით, რომ ფესტივალის დირექტორთა საბჭო ძალიან დიდი ყურადღებით ეკიდება ფესტივალზე წარმოსადგენ სანახაობას. უმთავრესი კრიტერიუმი, რასაკვირველია, მაღალი შემოქმედებითი ხარისხია, მაგრამ არა გამაძმევეტი მნიშვნელობისა, ამასთან ერთად ყურადღება ექცევა, თუ რა შემოქმედებით პროცესებს უდებს სათავეს ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები, რა გამოძახილი ექნება მას ხვალ, რა ტენდენციების განმაპირობებელი გახდება ხელოვნებაში.

ორიოდე სიტყვა ფესტივალის ისტორიაზე, იმაზე, თუ რამ განაპირობა მისი დაბადება და არსებობა.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის მეორე დღესვე, ისრაელს (1948 წ.) მეზობელი არაბული სახელმწიფოები დაესხნენ თავს. მათთვის კატეგორიულად მიუღებელი გახლდათ ამ არაბულ სამყაროში უცხო სხეული — ებრაელთა სახელმწიფო. დემოკრატიისაკენ, პროგრესისაკენ მიდრეკილი ებრაელი ხალხი ნამდვილად უცხო სხეული იყო ამ ლამის ფეოდალური ურთიერთობების საზოგადოებისათვის. ის ხუთი სახელმწიფო, რომელიც ისრაელს თავს ესხმის, მონადინებულია დაბადებისთანავე მოაშთოს ებრაული სახელმწიფო, რადგან იგი სრულიად სხვა პოლიტიკურ, სოციალურ კლიმატს ამკვიდრებდა რეგიონში. ომი ისრაელის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ იგი ერთობ მკაცრ იზოლაციაში აღმოჩნდა. მას არ ჰქონდა სახმელეთო გასასვლელი არც ერთ ქვეყანაში, მეზობელი არაბული სახელმწიფოები მეცადინეობდნენ, რომ ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნებს ისრაელთან ურთიერთობა შეეზღუდათ და ეს მაშინ, როდესაც ისრაელისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთობას — იმ წლებში ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ საშუალებად ხელოვნება მიიჩნეეს — სწორედ ხელოვნებაა ის გზა, რომელიც ხალხებს ერთმანეთს აცნობს, მათს მისწრაფებაზე, წარსულსა თუ აწმყოზე ესაუბრება და აახლოებს კიდევ.

და აი, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან არსებობს ისრაელის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი.

ფესტივალის დამფუძნებლები და დამფინანსებლები გახლავან ისრაელის კულტურის და სპორტის სამინისტრო და იერუსალიმის მერია. ფესტივალი ასევე კერძო პირთაგან და ბიზნესსტრუქტურებიდან ეწევა ფონდრეიზინგს. ეს ფესტივალი ამ მლოცველ ქალაქს ცოტა სხვა იერს აძლევს (ისრაელში ხუმრობით ასე განმარტავენ ქალაქების მისიას და რაობას: იერუსალიმი ლოცულობს, ხაიფა შრომობს, თელ-ავივი — ერთობა). ამ „ცოტა სხვა იერს“ კი ის ქმნის, რომ 23 მაისიდან 14 ივნისამდე იერუსალიმში ჩამოდიან მსოფლიოს თეატრის, მუსიკოს — შემსრულებელთა, ესტრადის, ქორეოგრაფიის, ბალეტის დიდი ოსტატები.

გადავავლოთ თვალი, თუ ვინ, რომელი ქვეყნის კოლექტივები არიან წელს იერუსალიმის ფესტივალის მონაწილენი: ინ-

დოეთი, კანადა, ესპანეთი, საქართველო, საფრანგეთი, იტალია, უნგრეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია და რასაკვირველია, თავად ისრაელი.

ფესტივალი აწვითარებს ერთობლივი ნაწარმოებების პრაქტიკას. წელს წარმოდგენილი გახლავთ ისრაელი-იტალიის, ისრაელი-ინდოეთი-შვეიცარიის, ისრაელი-აზერბაიჯანის, ისრაელი-უნგრეთის ერთობლივი ნაწარმოებები, ზოგიერთი ქვეყანა კი რამდენიმე კოლექტივით მონაწილეობს ფესტივალზე. ეს არის დრამატული თეატრიც, სიმფონიური მუსიკაც, ბალეტიც, მუსიკოს-შემსრულებლებიც, ცალკეული მომღერლებიც. ერთი სიტყვით, ფესტივალი ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს

გამომგონებლობით და რაც მთავარია, დახვეწილი გემოვნებით ჩინებულ სანახაობას ქმნის. თეატრალურ სამყაროში არსებობს გამოთქმა: მსახიობი მაყურებლისათვის ბოლომდე დაიხარჯაო — ეს ათი ახალგაზრდა მაყურებლისთვის ბოლომდე იხარჯება და უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს მას.

„მიუმანა“ თანამედროვე სანახაობაა, რომელმაც უკვე მოიარა მრავალი ქვეყანა და ვგონებ, საქართველოსაც ეწვევა.

ახლა კი მარჯანიშვილის თეატრის ისრაელის ფესტივალში მონაწილეობის თაობაზე:

შარშან ნოემბერში მარჯანიშვილის თეატრმა 80 წლის იუბილე აღნიშნა.

საიუბილეო დღეებში თბილისში ჩამ-



მოიცავს და ისრაელის მოსახლეობას აცნობს მსოფლიოს ხელოვნებაში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებს. ალბათ, ამით გახლავთ განპირობებული ის გარემოება, რომ სპექტაკლები, კონცერტები მხოლოდ იერუსალიმში როდი იმართება: ხაიფაში, ხოლონში, კეისარიაში, ბეერშევაში, თელ-ავივიში.

ყველაფერი ეს დასტურია იმისა, თუ სახელმწიფო როგორ ზრუნავს მოსახლეობის კულტურის ამაღლებისათვის, რადგან როცა ქვეყნის დედაქალაქსა თუ პერიფერიაში თავთავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყნის მსახიობნი, მუსიკოსნი, თუ სხვა შემოქმედნი, ეს უწინარესად, რგებს ქვეყნის ხვალისდელ შემოქმედებით პროცესებს — მაყურებელი კი საქმის კურსშია იმის თაობაზე, თუ რა ხდება მსოფლიოს ხელოვნებაში.

ადრე ფესტივალები მეტ დატვირთვას იღებდნენ თავიანთ თავზე: ფესტივალზე ჩასული თეატრალური, თუ სხვა შემოქმედებითი ჯგუფები მის გასრულებამდე რჩებოდნენ საფესტივალო ქალაქში, თეატრები ეცნობოდნენ სხვა ქვეყნების თეატრების სპექტაკლებს, მუსიკოს-შემსრულებლებს. ამგვარი შესაძლებლობა დღესაც არის, მაგრამ ერთობ შეზღუდული მასშტაბით — თეატრი ჩადის საფესტივალო ქალაქში, თამაშობს 2-3 სპექტაკლს, ან მართავს 2-3 კონცერტს და ბრუნდება უკან. ჩვენი სპექტაკლის ნახვა ინდოეთის საბალეტო ჯგუფის რამდენიმე მსახიობმა შეძლო. ჩვენ კი საშუალება მოგვცა გვენახა ერთადერთი მოკო, „მიუმანა“. ეს არის ისრაელის ათკაციანი ჯგუფი, რომელიც თანამედროვე ტექნიკის უზადო გამოყენებით, დიდებული ფანტაზიით,

ოვიდნენ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს თეატრალური მოღვაწენი.

ახლა უკვე ისრაელში მცხოვრები ჩინებულ ქართველი ებრაელი კომპოზიტორის — იოსებ ბარდანაშვილის ანგარიშგასაწევი რეკომენდაციით საიუბილეო დღეებში გვესტუმრა ისრაელის ფესტივალის გენერალური დირექტორი ბ-ნი იოსი ტალგანი — კაცი ერთობ ღირსეული, კონტაქტური და კულტურის რაობის შემცნობი. ი. ტალგანი მოიხიბლა საქართველოთი, დედაქალაქითა და მისი შემოგარენით. გამგზავრების წინა საღამოს ლევან წულაძემ სტუმრებს წარმოუდგინა ანტონ ჩეხოვის მოთხრობის „ქალი ძალით“ მხოლოდ პირველი მოქმედება. მეორე მოქმედება ჯერ კიდევ რეჟისორის წარმოსახვაში არსებობდა. იმ საღამოს ი. ტალგანმა მითხრა:

— თუ რეჟისორი არ იჩქარებს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი რამ შექმნას...

ძალიან კარგი ჩანაფიქრი აქვს და სწორი გზითაც მიდის.

ლევან წულაძემ, მართლაც, არ იჩქარა — სპექტაკლის რეჟისორული პარტიტურის გამოკვეთას, მაღალ შემოქმედებით კონდიციამდე აყვანას, დიდი დროც სჭირო და და მუშაობაც. მსახიობებს: ნანკა კალატოზიშვილს, ნატო კახიძეს, ნიკა თავაძეს და ბესო ბარათაშვილს არა მხოლოდ თავთავიანთი პერსონაჟები უნდა განესახიერებინათ, ფიქრის საგანი გახლდათ თოჯინებთან დამოკიდებულების თამაშიც. რეჟისორული პარტიტურის სირთულეცა და სიახლეც ის გახლავთ, რომ სპექტაკლში ერთმანეთს ენაცვლება პერსონაჟი — ცოცხალი მსახიობი და თოჯინა — პერსონაჟს მსახიობიც წარმოსახავს და თოჯინაც. ამ პროცესის ორგანულ

ქმედებად გადაქცევა კი, რეჟისორის დიდ ძალისხმევასაც მოითხოვდა და მსახიობებისაც. თუ ამგვარი რთული სცენური ჩანაფიქრის განხორციელებაში რეჟისორს ჰქონდა ჩინებული და წარმატებული გამოცდილება სარდაფში წარმოდგენილი „ფაუსტის“ სახით, ნანკა კალატოზიშვილს, ნატო კახიძეს, ნიკა თავაძეს და ბესო ბარათაშვილს ეს მეტოდი უნდა აეთვისებინათ.

დღეს ამის დაწერა არა-რა აღმოჩენა არ გახლავთ: ლევან წულაძემ შექმნა ჩინებულად გააზრებული, რთული პარტიტურის სპექტაკლი, გამოავლინა უზადო გემოვნება, შემოქმედებითი ტაქტი და ზომიერების გრძნობა. მოხსენიებულ თავისებურებებს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: რეჟისორის მიერ მოაზრებულ სპექტაკლში ყველაფერი დაიმსხვრეოდა, თუ მხატვრულ განაზრახს უაღრესად დახვეწილი ფორმით არ წარმოგვიდგენდა.

ამ რთული შემოქმედებითი ამოცანის დაძლევაში ლევან წულაძეს გვერდით ედგა თანამოაზრე მეთოჯინეთა ჩინებული ჯგუფი, ზემოთ ხსენებული ოთხეული მსახიობებისა და რაც ერთობ მნიშვნელოვანია, სპექტაკლის გამომსახველობით მთლიანობას დიდი სამსახური გაუწია ნატიფი მუსიკალური გემოვნების ხელოვნება, კომპოზიტორმა ვახტანგ კახიძემ. ვ. კახიძის მიერ ამ სპექტაკლისთვის შექმნილი, შერჩეული მუსიკა მსახიობთა, მეთოჯინეთა მოქმედების არა მხოლოდ ადეკვატურობით ხასიათდება, გარკვეულწილად სპექტაკლის სახიერებას და ამდენად, ალქმის დონესაც განაპირობებს. იქ, სადაც ეს საჭიროდ მიიჩნეეს, მუსიკა სცენური ქმედების ჩინებულ რეტუშირებას აკეთებს. ასე რომ, რეჟისორმა მსახიობების გააზრებული ქმედების, მეთოჯინეთა პროფესიონალიზმის და მუსიკალური სახიერების სინთეზის მეოხებით შექმნა სინთეზური სპექტაკლი. აი, ამ სამეზის უაღრესად დახვეწილი ფორმით წარმოაჩინა მან ა. ჩეხოვის პერსონაჟთა ტკივილი. არადა, ა. ჩეხოვის 3-4 გვერდიანი მშვენიერი მოთხრობის ასეთ თეატრალურ ენაზე „თარგმანა“, არა მხოლოდ დიდ შემოქმედებით წარმოსახვას, მომქანცველ შრომასაც მოითხოვდა. ამ ხერხს — ჯერ კიდევ „ფაუსტში“ დაწყებულ თოჯინებისა და მსახიობთა ურთიერთმონაცვლეობის ხერხს — ლევან წულაძე წარმატებით ამკვიდრებს ქართულ თეატრალურ სივრცეში და ამით არა მხოლოდ თეატრის განუსაზღვრელ შესაძლებლობებსა და მაგიურ ძალას წარმოგვიდგენს, რეჟისორული აზროვნების ავანგარდშიც ექცევა.

ი. ტალგანი იმდენად გახლდათ დაინტერესებული ლევან წულაძის რეჟისორული სიახლის რაობით, სამი თვის შემდეგ (ამდენი დრო გავიდა მეორე მოქმედების გასრულებამდე. საერთოდ კი სპექტაკლმა 7-8 თვის შრომა დაიტია.) ისევ ჩამოფრინდა თბილისში, რათა ენახა სპექტაკლის ორივე მოქმედება.

და მარჯანიშვილის სახ. თეატრი მიწვეული იქნა ისრაელის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრს წინ უძლოდა რუსთაველის თეატრის ის შემოქმედებითი ავტორიტეტი, რომელიც რ. სტურუას სპექტაკლებმა შექმნეს ჯერ 1989 წლის ამავე ფესტივალზე (1989 წელს შ. რუსთაველის თეატრმა ფესტივალზე წარადგინა ბ. ბრეხტის „კავკასი-

ური ცარცის წრე“ და უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“, ხოლო შემდეგ რ. სტურუას დადგმები თელ-ავივის კამერულ თეატრში: ისრაელის დრამატურგიის კლასიკოსად შერაცხული ხანოხ ლევიანის „პირდაღებული“ და უ. შექსპირის „მეფე ლირი“. ხომ უზარმაზარი დრო — ოცი წელი — გავიდა რუსთაველის თეატრის ფესტივალში მონაწილეობიდან, მაგრამ ისრაელის შემოქმედებით ელიტაში რ. სტურუას სპექტაკლების ექვს კვლავაც ისმის. მასზე ლაპარაკობენ ალტაცებით, დიდი პატივისცემით.

კ. მარჯანიშვილის თეატრი 24 მაისს ჩავიდა იერუსალიმში — სწორედ ამ საღამოს დიდი სიმფონიური კონცერტით გაიხსნა ფესტივალი. ფაქტიურად კ. მარჯანიშვილის თეატრი პირველი გახლდათ, ვინც სპექტაკლს წარმოადგენდა. საფესტივალო წარმოდგენები, კონცერტები „თეატრონ იერუსალიმში“ იმართება. ამ თეატრს აქვს ხუთი დარბაზი. ყველაზე დიდი — 1300 ადგილიანი, ყველაზე პატარა — 300 ადგილიანი. ჩვენმა მაყურებელმა იცის, რომ „ქალი ძალლით“ კ. მარჯანიშვილის თეატრში „სხვენზე“ — ამ 100 ადგილიან დარბაზში თამაშდება. „თეატრონ იერუსალიმის“ რეპერტუარი კრაუნის 300 ადგილიან დარბაზში, სადაც სპექტაკლი უნდა გვეთამაშა, იყო საშიშროება, რომ თოჯინების აღქმა გაჭირდებოდა. დღისით, რეპეტიციისას გასასვლელ — მეშვიდე რიგში ვიჯექი და თოჯინები ძნელად იკითხებოდა. ფესტივალის დირექციას სწორედ ამ მიზეზის გამო გადაწყვიტა, გაეყიდა მხოლოდ ექვსი რიგის ბილეთები. ე.ი. მან კომერციულად წამგებიანი გადაწყვეტილება მიიღო (ბილეთის ფასი \$35-40) სპექტაკლის უკეთ აღქმის მიზნით.

25 მაისს რეპეტიციისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ რთული პროცესია სპექტაკლის სხვა სცენაზე გადატანა, რამდენად მოქანცველია ის, რომ შეინარჩუნო მშობლიურ სცენაზე მიღწეული ყოველი ნიუანსი, მაგრამ ლევან ნულაძის უკომპრომისობამ, და თეატრის მმართველის — ეკა მაზმიშვილის მზაობამ მოუგვარებელი საკითხი არ დატოვა.

და აი, შეივსო დარბაზის ერთი ნაწილი.

გამიჭირდება ვთქვა, რომ ისრაელელი მაყურებელი ემოციურია. ეს ერთობ გახსნილი, ხმაურიანი ხალხი სპექტაკლზე მჭვრეტელი უფროა, ვიდრე ემოციურად განწყობილი, იმდენად მჭვრეტელი, რომ ერთგვარი შიშიც კი მიჰყვრება. მერე მახსენდება, რომ ამ საღამოს მაყურებლის დიდი ნაწილი სწორედ ენამწარე და მიუდგომელი კრიტიკოსები არიან. ის კრიტიკოსები, რომელთა აზრს აქ ანგარიშს უწვენენ. ამიტომ მათკენ ვაპარებდი მზერას, სპექტაკლის შემდეგ კი ორ მათგანს დაურიდებლად ვკითხე როგორი შთაბეჭდილება დატოვა წარმოდგენამეთქი.

— მეუღლე! — ერთხმად წამოიძახა ორივე კრიტიკოსმა ქალბატონმა.

არ დავმალავ: მე სხვა სიტყვას ველოდი: „მეცუიან“ — ეს სიტყვა აღნიშნავს კარგს, მშვენიერს, ამიტომ ვკითხე „მეცუიან“ არ არის-მეთქი?

— ლო, მეუღლე, მეუღლე!

მე არ ვიცოდი სიტყვა „მეუღლე“. ამის სწესს, გამაგებინეს: დიდებული, ალმატებული, საუკეთესო ყოფილა თურმე.

სპექტაკლის დამთავრებიდან დაახლოებით ნახევარ საათში, ვიდრე მსახიობები გადაიქმევენენ, ფესტივალის გენერალურ დირექტორს უკვე ხელისგულზე ედო კრიტიკის, საზოგადოებრიობის აზრი მარჯანიშვილელთა სპექტაკლზე.

— ეს არის ფესტივალის საუკეთესო მოვლენა!

მომდევნო დღეს, 26 მაისს თეატრმა ორი სპექტაკლი ითამაშა, ყური კი თბილისისაკენ გვექონდა მოპყრობილი, როგორ ჩატარდებოდა დამოუკიდებლო-

ბის დღე, სტადიონის აქცია ხომ არ გადაიზრდებოდა ისეთ მოვლენებში, რომელიც ქვეყანას კიდევ ერთხელ შეარცხვენდა.

იმ საღამოს თელ-ავივში საქართველოს საელჩო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დარბაზობას ატარებდა. ელჩი — ბ-ნი ვახტანგ ჯაოშვილი თეატრს ყურადღებას არ აკლებდა. პირველსავე სპექტაკლს დაესწრო.

26 მაისს ფესტივალის გენერალური დირექტორი მარჯანიშვილის თეატრის საპატივცემულოდ საკუთარ ოჯახში მიღებას მართავდა. იმის გამო, რომ საელჩოს დარბაზობაზე მისული სტუმრები გვიანობამდე არ დაიშალნენ — მასპინძლებთან ერთად განიხილავდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ვ. ჯაოშვილი ღამის პირველ საათზე ამოვიდა იერუსალიმში ი. ტალგანის დარბაზობაზე.



და ბოლოს, მეოთხე სპექტაკლი. ზემოთ ვთქვი, რომ ფესტივალის ხელმძღვანელობა რეპერტუარს კრაუნის დარბაზის ერთ ნაწილში ჰყიდდა ადგილებს. სპექტაკლის დაწყების წინ გასასვლელი რიგის უკანაც რომ ბევრი მაყურებელი დავინახე, მივხვდი: ესენი ის ადამიანები — უმთავრესად თეატრალური იყვნენ, რომლებიც ფესტივალის ხელმძღვანელობამ დარბაზში შეუშვა — თანახმანი გახლდნენ თუნდაც შორიდან ეცქირათ ლევან ნულაძის მიერ შექმნილი სცენური სამყაროსათვის.

რით იყო მნიშვნელოვანი მარჯანიშვილის თეატრის ამ ფესტივალში მონაწილეობა, რა მისცა მან საქართველოს?

დღეს, როცა დასავლეთის სამყაროდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები სხვა თუ არაფერი, უცნაურად გამოიყურება, თეატრალური ხელოვნების ფესტივალში მონაწილეობა უზარმაზარ მისიას ასრულებს — ქვეყნიერებას დაჩვენებს: ქვეყანა არა მხოლოდ ამ უცნაურ ქუჩის მოვლენებშია ჩართული, აქ დიდი ხელოვნებაც იქმნება. უცხოელი მაყურებელი — საზოგადოებრიობა ხედავს, რომ „კავკასიური ცარცის წრიდან“ ახალ სპექტაკლამდე — „ქალი ძალლით“ — განვლილი დრო იყო არა მხოლოდ შინაპოლიტიკის, ოკუპანტებთან ბრძოლის, არამედ შთაგონებული შემოქმედებითი შრომის წლები.

ეს ერთი. მეორე: გაიზარდა ქართული თეატრის გეოგრაფიული არეალი, თუმცა, ამას ქვემოთ ნაიკითხავთ, იმ ბევრ საგაზეთო პუბლიკაციათაგან ეთერში, რომელიც მარჯანიშვილელთა სპექტაკლთან დაკავშირებით დაიბეჭდა ისრაელის პრესაში.

გაზეთი „პარეცი“ 27.05.2009

სხვა ქართული სივლი მიხეალ ჰანდელშალცი

წლების განმავლობაში ჩვენს ცნობიერებაში ბატონობდა სხვა სახელი ქართული თეატრალური სამყაროდან — რობერტ სტურუა, რომელიც თავის თეატრთან ერთად მონაწილეობდა ისრაელის ფესტივალში. ამ დიდებულმა რეჟისორმა თელ-ავივის კამერულ თეატრში დიდი წარმატებით დადგა ხანოხ ლევიანის „პირდაღებული“, ხოლო ნაკლები წარმატებით — „მეფე ლირი“.

და აი, წლებადგულმა ფესტივალმა დაგვანახა, რომ საქართველოში არის სხვა თეატრიც.

ჩეხოვის მოთხრობის ამ ინსცენირებაში მშვენივრადაა გამოყენებული თოჯინები და მათი მატარებელი. სხვადასხვა ზომის თოჯინები და მათი შავგანსაცმლიანი მატარებლები (მაგრამ უმეტესად ხილული სახით, ისე რომ

ჩახოვი თოჯინებით შაი ნერ-იაკოვი

განსაკუთრებული ინსცენირება, რომელიც შექმნა ქართველმა რეჟისორმა ლევან ნულაძემ ანტონ ჩეხოვის „ქალი ძალლით“-ის მიხედვით, მიმდინარეობს მცირე სცენაზე, სპექტაკლში თავისუფლადაა ერთმანეთში შერეული სხვადასხვა ზომის თოჯინები და ცოცხალი მსახიობები, რომლებიც ქმნიან ლირიულ და სევდიან სურათებს. ყველაფერ ამას თან ახლავს მუსიკა, რომელიც გვახსენებს ხან 60-იანი წლების რომანტიული ფრანგული ფილმების მუსიკას, ხან კი — საეკლესიო რელიგიური სიმღერის მელოდიებს. ეს ბგერები წარმოადგენს პარალელურ განზომილებებს, რომელთა მოძებნასაც რეჟისორი მოთხრობაში ცდილობს. ერთის მხრივ, რომანტიულ განზომილებას, ტანჯულსა და თავის თავში ჩაკეტილს, და მეორეს მხრივ, უფრო მეტად მეორე განყოფილებაში, სიმბოლური, რელიგიური განზომილება, რომელიც გამომიხატება მთავარი გმირის — ბანკის მსახურის ტანჯვაში, რომელსაც საკურორტო ქალაქ იალტაში დასვენების დროს შეუყვარდება გათხოვილი ქალბატონი და ეს ტანჯვა შედარებულია ჯვარცმულის ტანჯვასთან. იგი ამ ამბავს ახვევს იმ ჩარჩოებში, რომელიც გვახსენებს იმ ფაქტს და კულტურულ სამყაროს, რომელსაც ჭამს ეჭვები და მერყეობა, რომელსაც ასე კარგად აღწერდა ჩეხოვი და რომელიც აღიგავა აგრესიული ისტორიული ჩექმის ქვეშ და მე-20 საუკუნეში გადაყლაპა მისი ქვეყანა.

მიზნის განხორციელებაში რეჟისორს ეხმარება მსახიობთა და თოჯინების მატარებელთა განსაკუთრებით დახელოვებული კოლექტივი, რომელიც გვთავაზობს ზუსტ და მრავალმხრივ მომთხრობებელ სპექტაკლს. შესაძლოა, სპექტაკლის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს მის განზრახ ნელ ტემპში (რიტმში), რომელიც განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში წარმოქმნის ზედმეტი კეკლუცობის შეგრძნებას.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა უმჯობესდება, და სწორედ მაშინ მთავარი გმირის — ნიკა თავაძის შესრულება აღწევს შთაბეჭდვად მწვერვალს.

საერთო ჯამში, ეს არის პოეტური და ლამაზი თეატრი, რომელსაც მიაქვს თავისი დრო, მაგრამ ახერხებს შთაბეჭდილების მოხდენას და ბოლოს — გრძნობების აღძვრასაც კი.

გამდობილი ჩახოვი. ცვი გორქნი

„ქალი ძალლით“ არის ჩეხოვის რთული მოთხრობის, სერიოზული ინსცენირება, გაზავებული მსუბუქი იუმორით. ეს მოთხრობა აღწერს ცოლიანი მამაკაცისა და გათხოვილი ქალის გასაოცარ რომანტიკულ შეხვედრას იალტის კურორტზე. ჩეხოვთან შეხვედრისა და მისი განვითარების აღწერა ქალისა და მამაკაცის ცნობიერებაში ხორციელდება. სპექტაკლის ქართულმა ავტორმა, ლევან ნულაძემ, ჩეხოვის მოთხრობა ოთხი მსახიობისა და შვიდი მეთოჯინის მიერ ამოქმედებული მრავალფეროვანი მინიატურული თოჯინების გუნდით განახორციელა.

მსახიობებისა და მათი თოჯინების კომბინაცია დიდი სიფაქიზით სრულდება, სრულიად უმტკივნეულო გადასვლებით, რამდენიმე შემთხვევაში თოჯინური ამბავი განსაკუთრებულ თვალსაჩინოებას აღწევს. მაგალითად, შეხვედრა ოპერაში, მოსკოვში. მსახიობების თამაში შესანიშნავი იყო, უმთავრესად ნიკა თავაძისა, რომელიც გუროვის — სასონარკვეთამდე შეყვარებული კაცის როლს აცოცხლებდა.

გურამ ბათიაშვილი იერუსალიმი-თბილისი გაზეთი "24 საათი" ივნისი

გაზეთი — „იედით ახრონოთ“ 27.05.2009

რას ვპიტიხლოთ
ამ კვირამი?
რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლეჰინი



ფინხასი

სახელის ასამაღლებლად (გერმანიაშიც ასე მოიქცა მრავალი თემი). ჰკითხეს ბრძენს რაბი შახს, რისთვის ხდებოდა ასე? მან უპასუხა, რომ ეს იმის გამოსასწორებლად, რაც მოსამართლეთა პერიოდში მოხდა. მაშინ ეს ხალხი კერპებს ეთაყვანებოდა, ახლა კი "სულთა გადასახლების" მეშვეობით ისინი დაბრუნდნენ გამჩენის სახელის ასამაღლებლად და ამით გამოასწორეს მოსამართლეთა პერიოდის ცოდვები. მაგრამ ადამიანს შეუძლია იცოდეს ასეთი რამ? ვინ იცის რატომ ხდება ტერორისტული აქტები ან რაიმე დიდი უბედურება? ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ყველაფერ ამას თავისი მიზეზი აქვს და მხოლოდ მან იცის ყველაფერი, ვინც მართავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და იცნობს ყველა თაობას დასაწყისიდან, სწორედ ის მართავს ყველა მოვლენას ამ სამყაროში.

თორაში წერია, რომ "ფინხასმა ძემ ელაზარისამ, ძემ აპარონ ქოენისამ, იეჭვიანა გამჩენის ეჭვით". რაში გვეუბნება, რომ ფინხასს დასცინოდნენ იმის გამო, რომ ფინხასის დედის მამა კერპებისათვის კვებავდა ხბოებს. ფინხასმა კი მოკლა ტომის მეთაური და ამიტომაც დაუკავშირა თორაში ის აპარონ ქოენს. ამასთან მან იეჭვა გამჩენის ეჭვით (კინა-ებრაულად) და არა - საკუთარით.

ადამიანი დიდი ყურადღებით უნდა იყოს საკუთარი სულის როგორც კარგი, ასევე ცუდი გამოვლინებებისადმი. მაგალითად: მასწავლებელი დილით დიდხანს ლოცულობს და აგვიანებს გაკვეთილზე, ან ვიღაც

ქორნილში დიდხანს ერთობა, ცეკვავს, მხიარულობს, ამ დროს კი მისი ბავშვები ან მოხუც მშობლებთან არიან, ან კი ახალგაზრდა მომვლელთან, რომელიც ამის გამო სახლში გვიან დაბრუნდება. ყოველთვის უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ სხვის ხარჯზე არ შევასრულოთ რაიმე მცნება. მაგალითად, ქოლელში ან იემივამი სწავლა ყოველთვის უვიდ საათზე მთავრდება და ცოლი ქმარს უკვე რვის თხუთმეტ წუთზე სახლში ელოდება, ის კი მის გაუფრთხილებლად მეგობარს ეხმარება, აეროპორტში მიყავს. ცოლის ხარჯზე ხესედს არ აკეთებენ.

თორაში წერია, რომ "ფინხასმა ააცილა ებრაელებს გამჩენის რისხვა". თითქოსდა შიმონისა და ლევის (დინას ძმების, იაკობის შვილების) საქციელი ჰგავს ფინხასის საქციელს. ისინი უწმინდურების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და საკუთარ სულს სწირავდნენ (მასრუ ნეფემ). მაგრამ რატომ მოხდა ისე, რომ ფინხასმა გამჩენისაგან ჯილდო მიიღო, იაკობმა კი დაწყევლა შიმონისა და ლევის რისხვა? ეჭვი ძალზე საშიში რამაა. თორის ბრძენი უნდა იყო, რომ მიხვდებოდა და როდისაა ეს გამჩენის ეჭვი და სად - ცუდი ხასიათის გამოვლინება. აქედან გამომდინარე რაიმე ეჭვის გაჩენის დროს უნდა შეეკითხოთ დიდ რაბინებს და ისე იმოქმედოთ. იაკობს ჰქონდა მიზეზი არ გადაეხადა სამაგიერო შხემისათვის. ასე წერია თორაში, რომ იაკობი ეუბნება შვილებს: "თქვენ მე უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეთ, მომატყუებინეთ დედამინის მკვიდრნი". სფორნო გვიხსნის, რომ ჩვენ ისინი მოვატყუეთ მას შემდეგ, რაც მათ შეასრულეს დანაპირები და მოინათლნენ. ანუ, შიმონმა და ლევიმ ჩათვალეს, რომ შხ-

ემის მცხოვრებლებმა სიკვდილი დაიმსახურეს, იაკობი კი სთვლიდა, რომ შეთანხმების დარღვევა არ შეიძლება.

ჩვენ იაკობისაგან უნდა ვისწავლოთ ჰალახის წესი. რატომ არ მოკლა ელიფაზი - ესავის ვაჟი, რომელიც მას დაედევნა? იაკობი ხომ ისეთი ძლიერი იყო, რომ შეეძლო მარტოს გადაენია ის ქვა, რომელსაც ყველა მწყემსი ერთად ძლივს სძრავდა ადგილიდან. მაგრამ კანონი კრძალავს ამის გაკეთებას და იაკობმა არჩია ელიფაზის დაყოლიება, მას მთელი თავისი ავლადიეზა გაატანა, მოკვლა კი არც უფიქრია.

თორაში წერია "ჰანენი ნითენ ლო ეთ ბრითი შალომ" - აი, ვაძლევ მას მშვიდობის ალთქმას ჩემსას. რაში გვეუბნება, რომ ფინხასს ყველაფერი მშვიდობიანად ექნება და ნერვიულობა არაა საჭირო. ბაალ ურინი გვეუბნება, რომ სიტყვაში შალომ ებრაულად აკლია ასო ვავი, რადგანაც ფინხასი ეს იგივე ელიაუა (ელიაჰუ ჰანავი). ხოლო გემატრია (რიცხოზრივი მნიშვნელობა) სიტყვებისა - ელია და შალომ უდრის გემატრიას სიტყვებისა - ზეჰუ მამიახ (ეს მამიახია). სფორნოს აზრით "ბრით შალომ" ეს არის სიკვდილის ანგელოზისაგან დახსნა. ფინხასმა იცოცხლა შილოში მიშქანის დადგმის პერიოდამდე, მოსამართლე იფთახის დრომდე. მას არ სურდა იფთახის ნედერის მოხსნა.

კლი იაკარი გვიხსნის, რომ სიტყვა "ჰანენი" - ეს, მიუთითებს იმაზე, რომ მოშემ უნდა უთხრას ყოველ ებრაელს, რომ ის ფინხასთან მშვიდობიანად არის და არ უბრაზდება იმის გამო, რომ კანონი გამოიყვანა მის წინაშე, საკუთარი მასწავლებლის თვალწინ ინიციატივა აიღო თავის ხელში.



ახალგაზრდა შემსრულებელია ყონცერცი

30 ივნისს იბრაჟო სხროში შერცავს იბრაჟოლი ყოლოყოლო-საგანმანათლოებლო თონრინს რა ყოლოყოლო-საგანმანათლოებლო თონრა - „სიმი საჭანოელოც“ ერითობლოი, ახალგაზრდა შერცალოებლოთა ყონცერცი.

ეს თონრა თონრა ყოყი წლოებინ მანძილოზე აცხრობს ერითობლოი ყონცერცებს. რამ-ლოებინ ბნის წინ მათ ავროთიო ერითობლოი რა ძალოინ წანმაცყოლოცა გათით-მამიქ სპეკულოში. რომელოც „ახა თონანის რიოთონს მიიქოქს.“

ყონცერცებზე ბავშვებმა შერცალოებს საინცერცესო რა საჭალო რიოყოლი ყომ-პოზიციები. ძირითად რიოლოინს რა თონრეპიანობი:

ახა ყონწაშვილომ (მოცარტი - საშინლო სიმლორის). ნინო სხლოელოინს (ლოყი - გერმანყოლი სიმლორის: ვიოლინსი - თავუნობი). ნინო თანოლოავამ (ნინო რიოქს - შილოლია: პოპური იბრაჟო თიქსი). სოთიო ალოთონსშვილომ) (ო. თაქთაქიშვილი - ბერლიოს). ბეგი მამლოსიქ (ბალოსლოი ტინცერცინო). თამარ ქოლოქსიქ (რიოინგი - ყონცერცი სოლო-მინოლი 7 ნაწილი). ნინო მამლოსშვილომ (შსერლინი - ინერცია). სოთიო ალოთონსშვილომ (ყანსილო „ყითიოლი თოთ-ლოები“). თამარ გიოერნიქიქ (ვიქლოლი - ყონცერცი (სოლო-მინოლი) 7 ნაწილი). ახაყოლი მანჯალონოქს - (შოპენი - რიოლოყოლონი იყოლო). ნინო ტინჯალონიქიქ (ყომანოქსი - ყონცერცი 7 ნაწილი). ნანა სხლოსიქიქ - (მოცარტი - ყონცერცი #4. 7 ნაწილი). რიოქსიან-სანსეპსნის რალოქქილოინსმ. მანოინამ ჭინჯალოლომ (ს. ტინცაქიქ - შილოლია). რიოქსი-ლან - სანსეპსნის რალოქქილოინსმ. ნინო ტინჯალონიქიქ რა ნინო მამლოსშვილომ (ვ. ახანსშვილი „ნოქყოლონი“). მონბლოქს ყონცერცებზე მოსყოლი მმბერელოები.



ყოლორის წლოწარა მონყოლო იქნა თბილოინს სახელომწითო ყონსერცელოინის პრიოცი-სოროი ალოქანსარეი გან-ბერი.

შ ე მ წ რ ი ლ ე ბ ლ ე ბ ე იბრაჟოთა ყოლოყოლო-საგანმანათლოებლო თონრინს რიოქსი ბერი-ოქსი რა მოსიოქსი ვიოლი გრიგოლოინსმ პრიოქი გარ-სეცეს.





უკვე მეორე წელია, რაც დავით ბოთერაშვილი ისრაელსა და საქართველოში იღებს მხატვრულ ფილმს „ქართველი ებრაელები“.

ფილმი ძირითადად რეალურ ამბებზეა დაფუძნებული. ფილმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულაშს და ხახამ რეფაელს.

ამ დღეებში დასრულდა ფილმის I ნაწილის გადაღება.

ფილმის სცენარისტი და დამდგმელი რეჟისორი დავით ბოთერაშვილი აშლო-დიდან გახლავთ. ჩვენ შევხვდით მას და გავესაუბრეთ ფილმის შესახებ.

— ბ-ნო დავით, რა მიზანს ემსახურება ამ ფილმის გადაღება?

— ჩვენმა, დღევანდელმა და მომავალმა თაობებმა, უფრო კარგად უნდა იცოდნენ, საიდან მოდის მათი ფესვები და ტრადიციები.

მე არასოდეს ვყოფილვარ არც რეჟისორი და არც — სცენარისტი, ამიტომ ვფიქრობ, ამ საქმეში უფალი მეხმარება.

— რამდენადაც ვიცი, ფილმი კულაშზე და კულაშელ ებრაელობაზეა, რატომ გადანყვიტეთ სწორედ კულაშელ ებრაელობაზე გადავლოთ?

— მე გათვალისწინებული მაქვს ფილმის მეორე ნაწილში წარმოვაჩინო აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხის თალმიდ ხახამები და ის ადგილები, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ხოლო, რაც შეეხება

იღებენ ფილმს



ფულოკადი!

ხუთშაბათს, 25 ივნისს თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში შახრითის ლოცვისას ხახამ დავითმა დაბადების მე-60 წლისთავი მიულოცა ჯამათის ღირსეულ წევრს სოსო (იოსებ) მოშიაშვილს. მთელმა ჯამათმა ხახამ დავითს ერთხმად შესძახა:

— ამენ!

ეს იმიტომ რომ სოსო მოშიაშვილი ჯამათის ძვირფასი წევრია, დილა-სალამოს ლოცვის არგამცდენი, წლები რომ გაატარა სახელმწიფო სამსახურში და პროფესიონალით, თავდაჭერილობით ებრაელი კაცის ღირსებას მატებდა — წლების განმავლობაში მსახურობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 1977-1993 წლებში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში უფროს ექსპერტად, 1994-97 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში და სხვ.

თქვენს შეკითხვას, თუ რატომ მაინცდამაინც კულაში, აქ ხაზი მინდა გავუსვა ძირითად საკითხებს. ალბათ, ძნელად მოიძებნებოდა მსოფლიოში ქვეყანა, თუ კუთხე, სადაც მხოლოდ ებრაელები იყვნენ დასახლებულნი (კულაში 8000 ებრაელი ცხოვრობდა).

50-60-იან წლებში კულაში 7 სალოცავი იყო, რომელშიც 150-ზე მეტი თალმიდ ხახამი და მეღვანედი მოღვაწეობდა. ეს იყო ერთადერთი ადგილი მთელ მსოფლიოში, სადაც თეხომი (საზღვარი ებრაელებსა და არაებრაელებს შორის) არსებობდა.

სწორედ კულაშელი ებრაელები იყვნენ პირველნი, ვინც გაარღვია საბჭოეთის რკინის ჭიშკარი და დიდი რისკის მიუხედავად, ჩავიდნენ ისტორიულ სამშობლოში. ეს გმირები სამი ძმა — იაკობი, მოშე და ბენციონ მიხელაშვილები გახლდნენ.

მე ავიღე ეს დიდი მისია ჩემს თავზე, გადამელო ფილმი ამ მნიშვნელოვან და ისტორიულ პიროვნებებზე, ხოლო რამდენად შევასრულე ჩემი მისია, ეს მაყურებლისთვის მიმინდა. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო: მსახიობებთან ერთად თევაობი გადაღებები მთებში, სალოცავებში და ა.შ. მთელი კოლექტივის თავდადებასა და გამარჯვებაზე მიუთითებს.

— ქართველი ებრაელობა ინტერესით ელოდება ამ ფილმის დასრულებას. როდის აპირებთ ფილმის დამთავრებას?

— ჩვენ უკვე დავასრულეთ გადაღებები საქართველოში, რომელიც ცოტა რთული გამოდგა ფილმში 50-ზე მეტი მსახიობის მონაწილეობის გამო. ისრაელში კი უფრო იოლი იქნება ფილმის დასრულება და იგი უახლოეს მომავალში გამოვა. ვიმედოვნებ, რომ გადავლახავთ ტექნიკურ ბარიერებს და ბოლოს და ბოლოს წარვადგენთ მაყურებლის წინაშე ერთობლივ, ორ წლიან ნაშრომს.

— იქნებ, ისიც გვითხრათ, თუ რა გაქვთ ჩაფიქრებული ფილმის მეორე ნაწილში?

— ფილმის მეორე ნაწილი იქნება ქუთაისის ებრაელობაზე. აქ იქნებიან წარმოდგენილი ხახამ იაკობ დავარაშვილი, ასევე ხახამ მოშე მიხელაშვილი, ხახამ ყიმიანუელ დავითაშვილი. იგი მიეძღვნება აგრეთვე საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ბ-ნ მიშიკო მირელაშვილის ხსოვნას. არის კიდევ თემა, რომლის გამოცხადებიდან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ფილმი ისტორიულ და ნამდვილ ამბებზე იქნება დაფუძნებული. ფილმისათვის საჭირო რეკვიზიტები, ტექნიკური მასალები უკვე შევუკვეთეთ რუსთაველის თეატრში.

ფილმი ორ ენაზე — ქართულად და ებრაულად გამოვა.



სიმონ იოსებაშვილის ხსოვნას

შვილები: ნანა და მანანა, სიძეები: ჯემალ სეფიაშვილი, სოსო ზაქარეიშვილი, შვილიშვილები: ცისანა სეფიაშვილი, მაია და დათო რიბაშვილები, შვილთაშვილები: ანა, გიორგი, გივი, კოტე და ლევანი იუნყეზიანი

სიმონ აბრამის-ქა იოსებაშვილის გარდაცვალებას.

თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთი და მორნ-მუნე ქართველ ებრაელთა საზოგადოება იუნყეზიანი ბეით ქნესეთის გამგეობის წევრის, ბეით ქნესეთის გაბაის მოადგილის, ღირსეული პიროვნების

სიმონ აბრამის-ქა იოსებაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს.

საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი არიელ ლევინი და მთ. რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლათი გულისტკივილს გამოსთქვამენ ჯამათის ღირსეული წევრის, ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გამგეობის წევრისა და გაბაის მოადგილის

სიმონ აბრამის-ქა იოსებაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ილო იოსებაშვილი (ნიუ-იორკი) გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას

სიმონ აბრამის-ქა იოსებაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს.

თემურ და მარინა იოსებაშვილები "ნიუ-იორკი" გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ახლო ნათესავის

სიმონ აბრამის-ქა იოსებაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს.

დავით ბაზოვი, გურამ ბათიაშვილი, ჯემალ აჯიაშვილი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაის მოადგილის, თვალსაჩინო პიროვნების

სიმონ აბრამის-ქა იოსებაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921 რედაქტორი გურამ ბათიაშვილი